ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

უჩა თოდუა

წარმოგიდგენთ ავტობიოგრაფიას, რომელიც ასახავს ჩემი პროფესიული კარიერის ძირითად მიღწევებს.

დავიბადე ქალაქ ქობულეთში 1987 წლის 18 ივლისს. 2004 წელს დავასრულე ქალაქ ზუგდიდის ექსპერიმენტულ-პროფილური სკოლა. 2005 წელს ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და სრული გრანტით ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. საბაკალავრო საფეხურის დასრულებისთანავე, 2009 წელს, ჩავაბარე საერთო სამაგისტრო გამოცდები და სრული გრანტით ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, კერძო სამართლის მიმართულებით. მაგისტრის ხარისხი მომენიჭა 2011 წელს. სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილება მივიღე 2017 წელს და კერძო სამართლის მიმართულებით წარმატებით ჩავაბარე სამართლის სადოქტორო პროგრამაზე, კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ვირიცხები დღემდე. ჩემი სადოქტორო კვლევის საგანია „დაჩქარებული სამოქალაქო წარმოების ფარგლებში სწრაფი და სწორი მართლმსაჯულების განხორციელების წესი და წინააღმდეგობები“.

ჯერ კიდევ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას მივიღე მონაწილეობა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებულ კონკურსში და 2008 წლის 1-ლ მარტს დავინიშნე სტაჟიორად ჯერ სამოქალაქო და შემდეგ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. ამავე წლის ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა მოხელეთა შესარჩევი კონკურსი, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ, 2009 წლის 5 იანვარს, დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უმცროს კონსულტანტად. 2009 წლიდან დღემდე, ვმუშაობ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროში, სადაც კონკურსის გზით თანამდებობრივად დავწინაურდი თავდაპირველად კონსულტანტის, ხოლო 2013 წლიდან - თავმჯდომარის ბიუროს უფროსის პოზიციაზე. ამ წლების განმავლობაში, მე და ჩემმა კოლეგებმა, მრავალი საინტერესო პროექტის ინიცირება და იმპლემენტაცია შევძელით.

2013 წელს გადავწყვიტე ჩართვა აკადემიურ საქმიანობაში და ამავე წელს, მოწვეული ლექტორის სტატუსით, დავიწყე სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დღემდე ვუძღვები სასამართლო პრაქტიკის განზოგადების კლინიკას და ვკითხულობ ლექციებს ბიზნეს სამართალში. დროთა განმავლობაში, გაიზარდა, როგორც იმ უნივერსიტეტების რაოდენობა, რომლებთანაც ვთანამშრომლობდი, ასევე იმ სასწავლო კურსების რიცხვი, რომელთა გაძღოლის შესაძლებლობაც მომეცა. კერძოდ, 2014 წელს დავიწყე სწავლება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2015 წელს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, 2017 წელს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, 2018 წელს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. საერთო ჯამში, დღემდე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის სწავლების 6 წლიანი გამოცდილება დამიგროვდა. სხვადასხვა დროს ვუძღვებოდი შემდეგ სალექციო კურსებს:

1) სამოქალაქო საპროცესო სამართალი;
2) ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი;
3) ბიზნესის სამართლებრივი გარემო (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
4) კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი;
5) სამოსამართლო კერძო სამართალი;
6) შესავალი კერძო სამართალში;
7) სასამართლო მენეჯმენტი;
8) პროფესიული ეთიკა;
9) ბიზნეს სამართალი.

გარდა საუნივერსიტეტო სწავლებისა, 2015 წლიდან დღემდე ვარ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი, ხოლო 2017 წლიდან - ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი. მაქვს შემდეგი სამართლებრივი და მომიჯნავე თემატიკის ტრენინგების ჩატარების გამოცდილება:

1) სასამართლო პროცესზე კომუნიკაცია და სხდომის წარმართვის ტექნიკა;
2) სარჩელისა და შესაგებლის შედგენის ტექნიკა;
3) მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები;
4) ლიდერობა და მენეჯმენტი სასამართლოში;
5) საქმეთა ნაკადის მართვა.

პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით, დამატებით მოგახსენებთ, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, გავუწიე კოორდინაცია და უშუალოდ ჩართული ვიყავი განმარტებითი იურიდიული ლექსიკონის შექმნაში (www.gil.ge). ლექსიკონი მულტიენობრივია და მათ შორის, მოიცავს ინგლისურ, გერმანულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ლათინურ იურიდიულ ლექსიკონებს. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, კოორდინაცია გავუწიე უფასო იურიდიული დახმარების პორტალის შექმნას, რომელიც თვითდამცველ პირებს საქართველოს მასშტაბით აწვდის ინფორმაციას უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობისა და პროვაიდერი ორგანიზაციების შესახებ (www.free.mylaw.ge).

გარდა ზემოთ მოცემული ძირითადი პრაქტიკული და აკადემიური საქმიანობისა, მსურს ასევე მოკლედ მოგახსენოთ ჩემი შემდეგი პროფესიული მიღწევების შესახებ:

- 2018 წელს წარმატებით ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;
- 2018 წელს გავიარე „მართლმსაჯულების ორგანიზებისა და მენეჯმენტის“ ტრენინგი საფრანგეთის მაგისტრატურის ეროვნულ სკოლაში (ENM);
- 2018 წელს გავიარე ევროპის სამოსამართლო სწავლების ქსელის (EJTN) სამოსამართლო სწავლების ტრენინგი.
- 2017 წელს ვიმყოფებოდი ე.წ. „ჰოსპიტაციაზე“ დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში (OLG). ჰოსპიტაციის ფარგლებში ადგილზე გავეცანი უმაღლესი სამხარეო სასამართლოში საქმისწარმოების წესებსა და პროცედურებს.
- 2016 წელს მონაწილეობა მივიღე ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში - „სამართლებრივი კვლევები აშშ-ში“. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შეერთებულ შტატებში ვეწვიე სასამართლოებს, კვლევით ცენტრებსა და ბიბლიოთეკებს.

- 2014 წელს შვედეთის ინსტიტუტის (SI) ორგანიზებით, ლუნდის უნივერსიტეტში გავიარე საზაფხულო აკადემია ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის (SAYP), თემაზე „გამჭვირვალე საჯარო ადმინისტრირება და მენეჯმენტი“;
- 2013 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), ორგანიზებით ჩატარდა რეგიონალური კონფერენცია და კონკურსი თემაზე „ახალი მიდგომა და სამართლებრივი რეფორმები საქართველოში“. გავხდი კუნკურსის გამარჯვებული პროექტით „იურიდიული ფორმები და შაბლონები“;
- 2013 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) გაცვლითი პროგრამის ფაგლებში გერმანულ კვლევით ცენტრში, ჰერთის მმართველობის სკოლაში, გავიარე ტრენინგი „იურიდიული დიალოგი სამართლებრივი ტრანსფორმაციისათვის“;
- 2012 წელს წარმატებით გავიარე ბრიტანული ორგანიზაცია დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრის (CEDR) ტრენინგი მედიატორის უნარებში და მომენიჭა CEDR-ის მიერ აკრედიტებული მედიატორის სტატუსი. დღემდე ვირიცხები სერთიფიცირებულ სასამართლო მედიატორთა სიაში;
- 2011 წელს მივიღე მონაწილეობა აშშ-ს კონგრესის მიერ დაფინანსებულ ღია სამყაროს გაცვლით პროგრამაში (Open World Program). გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, აშშ-ს ორეგონის შტატში გავეცანი ეთიკური და დისციპლინური საქმისწარმოების წესებს.
- 2011 წელს დავაფუძნე და დღემდე ვუძღვები სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკას (www.library.court.ge), რომელიც საქართველოს მასშტაბით სამართლებრივი დოქტრინის ყველაზე სრულყოფილი და სრულიად ღია საძიებო სისტემაა, ასობით სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზით.
- 2009-2010 წლებში უშუალოდ ვხელმძღვანელობდი სასამართლო ფორმების შემუშავებას, რომლებსაც სამოქალაქო და ადმინიტრაციული წარმოების მონაწილე პირები დღემდე იყენებენ ყველა ინსტანციის სასამართლოში.

ვარ „ბიზნეს სამართლის“, „ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონისა“ და „სასამართლო მენეჯმენტის“ სახელმძღვანელოების თანაავტორი. ასევე, ვარ ინგლისურიდან ქართულ ენაზე 20-ზე მეტი სამართლებრივი ნაშრომის თარგმანის ავტორი.

ვფლობ ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

31 მაისი, 2019 წელი
უჩა თოდუა